



აკრძალული უფლება

დროებითი კონსტრუქციებისა
და ტექნიკური საშუალებების
გამოყენების საკანონმდებლო
სტანდარტები და პრაქტიკაში
რეალიზაციის პრობლემები



ავტორი: ბიორგი ძყებუჩავა
რედაქტირება: ბიორგი კაკუბავა
ალეკო წეითიშვილი

შესავალი

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. იგი ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას, ადამიანის უფლებათა პატივისცემას და კანონის უზენაესობას.

სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, საქართველოში კვლავ გამოწვევად რჩება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან აქციის მონაწილეებისთვის მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა¹ და დროებითი კონსტრუქციის (მათ შორის - კარვების) განთავსების შესაძლებლობის შეზღუდვა. ბოლო პერიოდში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა ამ უფლების სრულფასოვანი რეალიზების შეზღუდვის რამდენიმე შემთხვევა გამოკვეთა, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხზე.

წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მიერ მომზადებულ ანგარიშებს. ცენტრის მონიტორინგის ქვეშ არსებულ საპროტესტო აქციებზე დაკვირვებისა და შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ერთგვარი ტენდენცია, რომ აქციის მიმდინარეობისას კარვის ან სხვა დროებითი კონსტრუქციების განთავსება სამართალდამცავი ორგანოების მიერ იზღუდება. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა 2021 წლის 19-20 თებერვლის აქციები საქართველოს პარლამენტის შენობის წინ, როდესაც აქციების მიმდინარეობისას, პოლიციის თანამშრომლებმა დემონსტრანტებს კარვის განთავსების შესაძლებლობა არ მისცეს და 20-მდე სამოქალაქო აქტივისტი, რომლებიც კარვების გაშლას ცდილობდნენ, დააკავეს². გასათვალისწინებელია, რომ ეს აქციები მიმდინარეობდა ფართო ტროტუარზე, ხელს არ უშლიდა ტრანსპორტის მოძრაობას, არ კეტავდა შენობის შესასვლელს და არც დაწესებულების საქმიანობას აფერხებდა. ამდენად, სრულად იყო დაცული შეკრების თავისუფლებით. ამასთან, ქვეითთა სამოძრაო ტერიტორიაზე აქციების და მანიფესტაციების გამართვისას კარვის, გასაშლელი საწოლის, ბანერების და სხვა დროებითი კონსტრუქციების გამოყენების ამკრძალავი ნორმა საქართველოს კანონმდებლობაში არ მოიპოვება. ამის მიუხედავად, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები მიუთითებენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134-ე მუხლის მე-2 ნაწილზე³, როგორც ამ უფლების შეზღუდვის საფუძველზე მაშინ, როდესაც მანიფესტაციების გამართვის დროს კარვის, გასაშლელი საწოლის, ბანერების და სხვა დროებითი კონსტრუქციების გამოყენების აკრძალვა არ ექცევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134-ე მუხლის რეგულირების სფეროში.

¹ იხ.: საპროტესტო აქციების მონიტორინგის შედეგები -2020, ადამიანის უფლებათა ცენტრი. <https://bit.ly/2ORnzhz>.

² იხ.: სახალხო დამცველის განცხადება: <https://bit.ly/3qCTX5F>.

³ იხ.: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134-ე მუხლის მე-2 ნაწილი: „საერთო სარგებლობის საავტომობილო გზასთან სხვა დანიშნულების გზის თვითნებური მიერთება, გზის ღერძიდან 100 მეტრზე ახლოს ან ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე რაიმე ობიექტის უნებართვო მშენებლობა ან ობიექტის მშენებლობაზე დადებული შეთანხმების პირობების დარღვევა, პლაკატის, ტრანსპარანტის, აფიშის, სარეკლამო ფირნიშის, არასტანდარტული საგზაო ნიშნის უნებართვოდ განთავსება, გზის თვითნებურად გადათხრა ან სამუშაოთა წარმოებაზე დადებული შეთანხმების პირობების შეუსრულებლობა, ანდა შესაბამისი ნებართვის გარეშე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების შესაკეთებლად მიღება – გამოიწვევს იურიდიული პირის ან პასუხისმგებელი ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. <https://bit.ly/3sED0YX>.“

აქედან გამომდინარე, განსახილველი საქმეები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც უკავშირდება სახელმწიფოს მხრიდან შეკრების თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებს. აქ საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული მიდგომა, რომლის თანახმადაც, უფლების შეზღუდვის მართლზომიერების შესაფასებლად, შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლებმა გადაწყვეტილების მიღებისას და საქმის განმხილველმა სასამართლომ აუცილებელია, პირველ რიგში შეაფასოს, თუ რამდენად ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა მსგავს შემთხვევაში აქციის მიმდინარეობისას კარვის განთავსების აკრძალვას.

აგრეთვე, წინამდებარე დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს შეკრების თავისუფლებით დაცული სფეროსა და მისი მართლზომიერი შეზღუდვის სტანდარტის განხილვის გზით, გამოკვეთოს ის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, რაც შესაბამის ორგანოებს მოცემული საკითხის სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტის მომზადებისას, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გააანალიზა ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების მიერ მომზადებული ანგარიშები, შეკრების თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა და შეისწავლა მისი პრაქტიკაში რეალიზაციის კუთხით არსებული ტენდენციები და გამოწვევები; განიხილა პოლიციის მოქმედების სამართლებრივი ჩარჩო და შეაფასა კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმების ეფექტიანობა და პრობლემები; გააანალიზა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი (Case-law of the ECHR-Judgments and Decisions) და საერთაშორისო სტანდარტები.

შეკრების თავისუფლებით დაცული სფერო

შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება გარანტირებულია მთელი რიგი საერთაშორისო და რეგიონალური აქტებით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 21-ე მუხლით⁴ და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით⁵. საქართველოში შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით⁶.

აღნიშნული უფლებით სარგებლობის წესი რეგლამენტირებულია საქართველოს კანონით „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“⁷. გარკვეული ნორმები, ასევე, ასახულია „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა“⁸ და „პოლიციის შესახებ“⁹ კანონში.

როგორც გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ და ფუნქციურ ელემენტს

⁴ იბ.: International Covenant on Civil and Political Rights, Article 21. <https://bit.ly/2OdpLQ1>.

⁵ იბ.: European Convention on Human Rights, Article 11. <https://bit.ly/2PhXkRD>.

⁶ იბ.: საქართველოს კონსტიტუცია, მუხლ. 21. <https://bit.ly/3b3AUfv>.

⁷ იბ.: საქართველოს კანონი „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“. <https://bit.ly/3b5A2Hk>.

⁸ იბ.: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. <https://bit.ly/3sED0YX>.

⁹ იბ.: საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“. <https://bit.ly/3uK6y9t>.

წარმოადგენს, რაც ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისათვის აუცილებელ საფუძველს ქმნის და მისი თითოეული წევრის ინტერესებისა და მისწრაფებების რეალიზებას უწყობს ხელს. შესაბამისად, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით შეკრების (მანიფესტაციის) შესაძლებლობა დემოკრატიული მმართველობის განუყოფელი ნაწილია. ამ უფლებით თანაბარი და სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობა საზოგადოების ღიაობის და დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს¹⁰.

შეკრების და მანიფესტაციის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის. ამ უფლების, ისევე როგორც გამოხატვის თავისუფლების სხვა ფორმების, შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური საფუძვლის არსებობის, სხვა კონსტიტუციური უფლებებისა და პრინციპების უზრუნველყოფის მიზნით.

შეკრების და აზრის საჯაროდ გამოთქმის შესაძლებლობა საგანგებოდ არის დაცული საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, რომელიც უფლებას აღწერს, როგორც საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების შესაძლებლობას და განსაზღვრავს მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს - წინასწარი ნებართვის გარეშე შეკრების უფლებას¹¹.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული სფერო მოიცავს როგორც პოლიტიკური საქმიანობით განპირობებულ, პოლიტიკური შინაარსის და მიზანმიმართულების მქონე, ასევე საზოგადოებრივი მნიშვნელობის ან საერთოდ აპოლიტიკური ხასიათის შეკრებების (მანიფესტაციების) გამართვის უფლებას¹². ამასთან ერთად, ადამიანთა თავყრილობა, რომელიც მოკლებულია იდეას, არ ემსახურება აზრის, ინფორმაციის გაზიარებას ან გავრცელებას¹³ ან/და ატარებს ძალადობრივ ხასიათს¹⁴, სცდება კონსტიტუციით დაცულ სფეროს. მშვიდობიანობის ვალდებულება ასახავს სახელმწიფოსა და მოქალაქის ე.წ. „ორმხრივი ლოიალობის“ კონცეფციას¹⁵: აქტიურ მოქალაქეებს, რომლებიც შეკრებების გამართვის გზით ესწრაფვიან საზოგადოების ცხოვრებაში მონაწილეობას, აკისრიათ მშვიდობიანობის ვალდებულება¹⁶; სახელმწიფოს კი, თავის მხრივ, თავადვე აკისრია აქტიური როლი შეკრების მიმდინარეობის მშვიდობიანობის დაცვაში.

შეკრების ავტონომიურობა გულისხმობს შეკრების ორგანიზატორთა თვითგანსაზღვრის უფლებას, თავად აირჩიონ შეკრების გამართვის დრო, ადგილი, კოლექტიური გამოხატვის შინაარსი და მოდალობები (შეკრების ადგილი, დრო,

¹⁰ იხ.: Article 22, ICCPR, and Article 11, ECHR. See also Dragan Golubovic, "Freedom of association in the case law of the European Court of Human Rights", 17(7-8) International Journal of Human Rights Vol. 17, No 7-8, 2013, pp. 758-771; Ashutosh Bhagwat, "Associational Speech", Yale Law Journal Vol. 120, No.5, 2011, pp.978-1277.

¹¹ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ. 25. <https://bit.ly/2OeQ8oL>.

¹² იხ.: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე - საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გვ. 283. <https://bit.ly/3uHloO9>.

¹³ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ. 3. <https://bit.ly/2OeQ8oL>.

¹⁴ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის №2/2/180-18 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹⁵ ცნების თაობაზე იხ.: St. Haak, Staatsangehörigkeit-Unionsbürgerschaft-Völkerrechtssubjektivität, § 205, პ. 2, Handbuch des Staatsrechts, Isensee/Kirchhof, X, 2012.

¹⁶ **შენიშვნა:** მშვიდობიანობის ვალდებულება - ზოგადი კანონმორჩილების პრინციპის უმთავრესი გამოხატულება, რომლის უგულებელყოფა აამოქმედებს სახელმწიფოს სანქციონების [ძალის] მონოპოლიას).

ფორმა და ა.შ.)¹⁷. თავის მხრივ, შეკრების ფორმის არჩევის უფლება შესაძლებელს ხდის მისი მიმდინარეობისას კონკრეტული აზრის ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდით დაფიქსირებას¹⁸ იმგვარი საშუალებების გამოყენებით, როგორებიცაა, მაგალითად, ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობები, ვიზუალური გამოსახულებები, კარვები და სხვა დროებითი კონსტრუქციები¹⁹.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, შეკრებას (მანიფესტაციას) კონსტიტუციურ უფლებად მისი მიზანი და შინაარსი აქცევს, ეს განაპირობებს ბუნებრივ და არსებით კავშირს კონსტიტუციის [ძველი რედაქციით] 24-ე და 25-ე მუხლებს შორის. ამ მხრივ კონსტიტუციის 25-ე [ახალი რედაქციით - 22-ე] მუხლი, რომელიც ადამიანთა ჯგუფის მიერ აზრის გამოხატვის კოლექტიურ შესაძლებლობას იცავს, კონსტიტუციის 24-ე [ახალი რედაქციით - 21-ე] მუხლის გაგრძელებას წარმოადგენს²⁰.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Kudrevičius and Others v. Lithuania*²¹ განმარტა, რომ კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები ვრცელდება ყველა სახის შეკრებაზე, გარდა შეკრებებისა, რომელთა ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ძალადობრივი განზრახვები ამოძრავებთ, ძალადობენ ან სხვაგვარად უარყოფენ დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს; ხოლო საქმეში *Cisse v. France*²² სასამართლომ მიუთითა, რომ პრაქტიკაში მხოლოდ იმგვარი ღონისძიებები არ დაკვალიფიცირებულა „მშვიდობიან შეკრებად“, რომლის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ ძალადობა.

შეკრების თავისუფლებაში ჩარევის გამართლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცული უფლებები გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება - მუხლში არსებობს კონკრეტული დათქმა, რითაც დასაშვებია შეზღუდვების დაწესება გარკვეული ჯგუფების, მათ შორის - პოლიციელების გაერთიანების თავისუფლებაზე. შეკრების თავისუფლების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ამოცანაა პოლიციელებისათვის, როგორც ოპერატიული მოთხოვნების შესრულების, ასევე საერთაშორისო სამართლის დაცვის თვალსაზრისით. გარდა იმისა, რომ პოლიციას მოეთხოვება, თავი შეიკავოს გაუმართლებელი ჩარევებისგან, შეიძლება იყოს სიტუაციები, რომლებშიც მას ეკისრება პოზიტიური ვალდებულება - დაიცვას შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება სხვათა, მათ შორის, კერძო პირთა თავდასხმისაგან. მაგალითად, საქმეში *Oya Ataman v. Turkey* ადამიანის უფლებათა ევროპულმა

¹⁷ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *SASKA v. HUNGARY*, პარ. 21.

¹⁸ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე „ბესიკ ქათამაძე, დავით მუჟაგანაძე და ილია მაღაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II. პარ.7. <https://bit.ly/3sDMVhu>.

¹⁹ იხ.: EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), OSCE/ODIHR – VENICE COMMISSION GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (2ND EDITION), 2010. <https://bit.ly/3sDxxlc>.

²⁰ იხ.: საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, № 1/3/421,422, 10 ნოემბერი, 2009. <https://bit.ly/3bNQf2R>.

²¹ იხ.: CASE OF KUDREVICIUS AND OTHERS v. LITHUANIA (Application no. 37553/05), JUDGMENT, STRASBOURG, 15 October 2015; (პარ. 92). <https://bit.ly/2NPImlx>.

²² იხ.: CASE OF CISSE v. FRANCE (Application no. 51346/99) JUDGMENT STRASBOURG 9 April 2002, FINAL; (პარ. 37). <https://bit.ly/3kxQRxz>.

სასამართლომ განაცხადა: „როცა დემონსტრანტები ძალადობას არ მიმართავენ, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო ორგანოებმა გარკვეული ტოლერანტობა გამოხატონ მშვიდობიანი შეკრებების მიმართ, თუ მათ არსებითად არ უნდა შეეზღუდოთ მე-11 მუხლით გარანტირებული შეკრების თავისუფლება“²³.

ევროსასამართლოს განმარტებით, დემოკრატია ერთადერთი პოლიტიკური მოდელია, რომელიც კონვენციაში მოიაზრება და მას შეესაბამება²⁴ და „შეკრების თავისუფლების დაცვა დამოკიდებული ვერ იქნება ხელისუფლების ორგანოთა სურვილსა და აღქმაზე - რა იმსახურებს ნებადართვას და რა არა“²⁵. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ „ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ჩარევას გამოხატვის თავისუფლებაში - როგორ შოკისმომგვრელად და მიუღებლადაც უნდა ეჩვენებოდეთ ზოგიერთი მოსაზრება ან გამოყენებული სიტყვა ხელისუფლების ორგანოებს - აზიანებს და ხშირად საფრთხეს უქმნის დემოკრატიას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ძალადობისკენ მოუწოდებენ ან უარყოფენ დემოკრატიულ პრინციპებს“²⁶.

იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალდამცავთა ქმედებები მიზნად ისახავს შეკრების თავისუფლების დაკნინებას, დიდი ალბათობით, დადგინდება ამ გარანტიის დარღვევა. ევროსასამართლოს მიერ განხილულ რამდენიმე საქმეში მშვიდობიანი დემონსტრანტები დააკავეს საექვო საფუძვლით. მაგალითად, საქმეში *Hyde Park and Others v Moldova* კანონიერი საპროტესტო აქციის რამდენიმე მონაწილე დააკავეს იმის გამო, რომ დოკუმენტებში, სავარაუდოდ, შეცდომები იყო დაშვებული, ან გაიყვანეს პირადობის დამადასტურებელი საბუთების დამატებით შესასწავლად. ისინი ასევე დამნაშავედ ცნეს შეკრების შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დარღვევაში. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა უფლება შეკრების თავისუფლების შესახებ²⁷.

აქვე აღსანიშნია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაკუთრებით მკაცრ პოზიციას იკავებს ისეთი დემონსტრაციების შეზღუდვასთან მიმართებით, რომლებიც მოიცავს პოლიტიკური პარტიების ლეგიტიმურ საქმიანობებს.

ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვები უნდა ემსახურობდეს დემოკრატიული საზოგადოების ინტერესების დაცვას. მართალია, დემოკრატიული საზოგადოების ინტერესების დაცვა უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ადამიანის უფლების შეზღუდვისათვის, მაგრამ იგი ერთადერთი არაა. ეს ნიშნავს, რომ კონვენციის მიზნებისათვის მხოლოდ ამ უკანასკნელის დაცვა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გამართლდეს სახელმწიფოს მიერ მე-11 მუხლით გარანტირებულ უფლებათა შეზღუდვა. ევროპული კონვენცია იმპერატიულად განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, სახელმწიფოს მიერ უფლების შეზღუდვა ჩაითვლება კონვენციის მიზნების შესაბამისად. **კერძოდ, უფლების შეზღუდვა: 1) გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით; 2) აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში; 3) უნდა არსებობდეს გადაუდებელი საზოგადოებრივი აუცილებლობა; 4) უფლებაში განხორციელებული ჩარევა იმ კანონიერი მიზნის პროპორციული უნდა იყოს, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება.**

²³ იხ.: *Oya Ataman v. Turkey* (application no. 74552/01), 5.12.2006, §41 და 42, ECHR.

²⁴ იხ.: *Christian Democratic People's Party v Moldova*, 14.02.2006, §63, ECHR.

²⁵ იხ.: *Hyde Park and others v Moldova*, 31.03.2009, §30, ECHR.

²⁶ იხ.: *Faber v. Hungary* (40721/08), 24.10.2012, §37, ECHR.

²⁷ იხ.: *Hyde Park and others v Moldova*, 31.03.2009, §5-6, ECHR.

შესაბამისად, ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩარევას კი უნდა ჰქონდეს ზემოთჩამოთვლილი მიზნები, რათა იგი მოექცეს მე-11 მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ მიუხედავად თავისი მნიშვნელობისა, შეკრების თავისუფლება არ არის გარანტირებული შეზღუდვების გარეშე, კანონის სადავო მუხლები იძლევა მხოლოდ საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის, სხვა ადამიანების კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შემთხვევაში, თავისუფლების გარანტიას და ამავდროულად, ამ თავისუფლებას საკანონმდებლო შეზღუდვას უქვემდებარებს. ამით, კონსტიტუციის 25-ე მუხლი (*ძველი რედაქცია*) ანგარიშს უწევს იმ გარემოებებს, რომ შეკრების თავისუფლების განხორციელებისათვის, გარესამყაროსთან შეხების გამო, განსაკუთრებული, სახელდობრ - ორგანიზაციული და პროცესუალურ-სამართლებრივი რეგულირების საჭიროება არსებობს, რათა ერთი მხრივ, თავისუფლების განხორციელების რეალური წინაპირობები შეიქმნას, ხოლო მეორე მხრივ, სხვათა ინტერესები იქნეს დაცული. კანონმდებელს უფლება აქვს, შეზღუდოს შეკრების თავისუფლების განხორციელება მხოლოდ სხვა თანაბარი ფასეულობების მქონე სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად და პროპორციულობის პრინციპის მკაცრი გათვალისწინებით. შეკრების თავისუფლების სფეროში თავისუფლების შემზღუდავი ჩარევის აუცილებლობა შეიძლება იქიდან გამომდინარეობდეს, რომ დემონსტრანტი ამ უფლების განხორციელებისას მესამე პირთა ინტერესებს აყენებს ზიანს²⁸.

წარსულის გამოცდილება

აქცია - „კარგებით ვიცავთ თავისუფლებას“

საქართველოში წინა წლებშიც გამოწვევად რჩებოდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან აქციის მონაწილეებისთვის დროებითი კონსტრუქციის განთავსების შესაძლებლობის შეზღუდვა. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ გამოიკვეთა საქართველოს პარლამენტის შენობის წინ ზაზა სარალიძისა და მალხაზ მაჩალიკაშვილის მხარდამჭერი აქციების მიმდინარეობისას. კერძოდ, 2018 წლის 10 სექტემბრიდან პარლამენტის შენობასთან მოსარჩელებმა საპროტესტო აქცია დაიწყეს. ისინი ღამეებს რუსთაველის გამზირზე ათენებდნენ. სარალიძე და მაჩალიკაშვილი მოითხოვდნენ მათი შვილების სიცოცხლის ხელყოფის საქმეების ობიექტურ და სრულყოფილ გამოძიებას და სახელმწიფოს მიერ დამნაშავე პირების დასჯას.

მედიით გავრცელებული ინფორმაციის²⁹ შესაბამისად, 2018 წლის 11 სექტემბერს პარლამენტის წინ მიმდინარე ზაზა სარალიძისა და მალხაზ მაჩალიკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა აქციის მონაწილეებს პარლამენტის შენობის წინ საწვიმარი კარვის გაშლის უფლება არ მისცეს და განმარტეს, რომ აღნიშნული საჭიროება სპეციალურ ნებართვას. ინციდენტს პოლიციისა და აქციის მონაწილეებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება

²⁸ იხ.: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ზაალ ტყეშელაშვილი, ლელა გურაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/2/180-183, 5 ნოემბერი, 2002. <https://bit.ly/38n3YN6>.

²⁹ იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2PCRxpU>.

მოყვა³⁰. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლისგან მიღებული განმარტებით, აქციაზე იმყოფებოდნენ სავარაუდოდ ნასვამი პირები, რომლებიც აგრესიას გამოხატავდნენ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიმართ. შსს-ს მითითებით, ვინაიდან კარავი შეიცავდა ლითონის კონსტრუქციას, იგი შემდგომში რაიმე დაპირისპირების თავიდან არიდების მიზნით ჩამოართვის.

სახალხო დამცველის აპარატმა არ გაიზიარა შსს-ს ასეთი განმარტება, რამდენადაც მონიტორინგის შედეგებით, აგრეთვე მედიით გავრცელებული ინფორმაციით იკვეთებოდა, რომ აქციის მონაწილეთა აგრესია სწორედ მათთვის კარვის გაშლის შესაძლებლობის შეზღუდვამ გამოიწვია და ამ შეზღუდვამდე რაიმე დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია³¹. საქართველოს ხელისუფლება ზაზა სარალიძესა და მალხაზ მაჩალიკაშვილს საპროტესტო აქციაზე, საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა უგულვებელყოფით, კარვის გაშლის საშუალებას არ აძლევდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აქციის მონაწილეებს კარვის დადგმა სურდათ ტროტუარზე, რაც არ გამოიწვევდა არც პარლამენტის შენობის ფუნქციონირების შეფერხებას/ბლოკირებას და არც ქვეით მოსიარულეთა შეფერხებას, მაგრამ პოლიციის მიერ მშვიდობიანი შეკრების უფლებაში მოხდა უხეში ჩარევა. კერძოდ, პოლიციის თანამშრომლებმა დაშალეს კარვის კონსტრუქცია და აქციის მონაწილეებს არ მისცეს პროტესტის ამ ფორმით გაგრძელების უფლება.

2018 წლის 26 სექტემბერს გავრცელდა ინფორმაცია და ვიდეომასალა, რომლის თანახმადაც, საქართველოს პარლამენტის შენობისკენ აქციის გასამართად მიმავალი ზაზა სარალიძე პოლიციის თანამშრომლებმა განმარტების გარეშე გააჩერეს და მანქანიდან კარავი ამოუღეს³². ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციის³³ ანალიზის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, კარვის ჩამორთმევას კანონიერი საფუძველი არ ჰქონია და შედეგად, წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს, დაწყებულიყო გამოძიება სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულის ფაქტზე³⁴. სამწუხაროდ, საქართველოს გენერალურ პროკურატურას ეს წინადადება არ გაუზიარებია. ამავე შემთხვევაზე, ზაზა სარალიძემ და მალხაზ მაჩალიკაშვილმა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს და 2018 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების (ქმედების) უკანონოდ ცნობა მოითხოვეს, მათთვის კარვის განთავსების აკრძალვის თაობაზე³⁵.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა³⁶ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა³⁷ არაერთხელ გააკეთეს მკაფიო განცხადებები, რომლის მიხედვითაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან აქციის მონაწილეთათვის დროებითი კონსტრუქციის (კარვის) გაშლის ხელშეშლა საქართველოს კონსტიტუციის და მოქმედი კანონმდებლობის უხეშ დარღვევად და მშვიდობიანი შეკრების უფლებაში გაუმართლებელ ჩარევად შეფასდა.

³⁰ იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2OdCRxg>.

³¹ იხ.: სახალხო დამცველის განცხადება, 12 სექტემბერი, 2018. <https://bit.ly/3btnj1h>.

³² იხ.: ინფორმაცია და ვიდეომასალა სრულად: 1) <https://bit.ly/2T8rvH9>; 2) <https://bit.ly/2UCF1V3>.

³³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 17 ოქტომბრის №2545596 წერილი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს.

³⁴ საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 29 ოქტომბრის №15-1/13687 წინადადება.

³⁵ იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3sWnFml>.

³⁶ იხ.: სახალხო დამცველის განცხადებები: 1) <https://bit.ly/2OkFJ6U>; 2) <https://bit.ly/2HyQC4P>; 3) <https://bit.ly/2HDvgmK>.

³⁷ იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/30zyQFT>.

2018 წლის 10 ნოემბერს, 20:00 საათზე საქართველოს პარლამენტის შენობასთან გაიმართა სარალიძისა და მაჩალიკაშვილის მხარდასაჭერი აქცია — „**კარვებით ვიცავთ თავისუფლებას!**“³⁸ პოლიციის მხრიდან გაწეული დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა, მაინც შეძლეს პარლამენტის წინ კარვების დადგმა³⁹. შემდეგ კი მთელი ღამის განმავლობაში იმყოფებოდნენ კარვებში, რათა ამ გზით დაეცვათ ეს ე. წ. დროებითი კონსტრუქციები პოლიციის მხრიდან ხელყოფისაგან.

ამ აქციის შედეგად, უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით, პარლამენტის შენობის წინ 20-ზე მეტი კარვის გაშლა მოხერხდა; შემდეგ დღეებში საპროტესტო აქცია ამ ფორმით გაგრძელდა. ამ ფაქტის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 3 დეკემბერს შეწყვიტა ზემოხსენებული სარჩელის განხილვა, მაგრამ ყურადღება გაამახვილა შეკრების გამართვის დროებითი კონსტრუქციების (მათ შორის - კარვის) აგების შესაძლებლობაზე, თუ ეს მოქმედ კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება⁴⁰.

2021 წლის 20-21 თებერვლის აქციების შეფასება

10

როგორც მედიით გავრცელებული ინფორმაცია⁴¹ ადასტურებს, 2021 წლის 20-21 თებერვლის აქციის მონაწილეები კარვის განთავსებას ტროტუარზე გეგმავდნენ, რაც არ გამოიწვევდა პარლამენტის შენობის ფუნქციონირების შეფერხებას ან ბლოკირებას. თუმცა, პოლიციის თანამშრომლებმა კარვის კონსტრუქციის გაშლის შესაძლებლობა აქციის მონაწილეებს არ მისცეს.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც პოლიცია აქციის მონაწილეებს მათ მიერ არჩეული მშვიდობიანი ფორმით შეკრების გამართვის შესაძლებლობას არ აძლევს და მას აქვს სისტემატიური და განგრძობადი ხასიათი. ამასთან, მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელების ფარგლებში კარვების, ტრანსპარანტების, პლაკატების და შეკრებისათვის მნიშვნელოვანი სხვა დროებით კონსტრუქციების განთავსების უფლების შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ხშირად მიიჩნევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც იზღუდება გზის ღერძიდან 100 მეტრზე ახლოს ან ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე გარკვეული ობიექტების განთავსება. შეკრების თავისუფლებით სარგებლობის შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ სპეციალური კანონი ამ უფლებით ეფექტიან სარგებლობას უზრუნველყოფდეს. ამგვარად, ეს სპეციალური კანონი არ უნდა იყოს ცალმხრივად მიმართული მხოლოდ უფლების შეზღუდვისკენ [საზოგადოებრივი უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვის მიზნით], არამედ მესამე პირთა ინტერესების დაცვის გვერდით, მაინც უნდა რჩებოდეს მშვიდობიანი შეკრების უფლებით შეძლებისდაგვარად ეფექტიანად სარგებლობის გარანტად⁴². ამგვარი

³⁸ იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3v9D1qb>.

³⁹ იხ.: ვიდეომასალა: <https://bit.ly/38pVJjA>

⁴⁰ იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3cbA13P>.

⁴¹ იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2NeHeaZ>.

⁴² იხ.: Rainey/Wicks/Ovey, The ECHR, 519; Hartmann, B. J., in: Bonner-Kommentar, GG, Art. 8 Rn. 238; BVerfGE 84, 103, 109; ECHR, Frumkin v. Russia, no. 74568/12, 5 January 2016, § 97, § 129: „The Court considers that from any point of view the authorities in this case did not comply with even the minimum requirements in their duty to communicate with the assembly leaders, which was an essential part of their positive obligation to ensure the peaceful conduct of the assembly, to prevent disorder and to secure the safety of all the citizens involved“.

ლიბერალური კონცეფციის თაობაზე, რომელიც შეკრების თავისუფლების ოპტიმალურ გამოყენებაზეა ორიენტირებული, ევროპულ სახელმწიფოებში არსებობს კონსენსუსი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში, სხვა საკითხების რეგულირების მსგავსად, შეკრების უფლების განხორციელების სამართლებრივი ჩარჩოც გარკვეულწილად განსხვავებულია ერთმანეთისგან⁴³.

ეს პრინციპები ეფუძნება ევროპული სასამართლოს პრაქტიკით შექმნილ სტანდარტს, რომელიც საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ევროპული კონვენცია შესასრულებლად სავალდებულოა, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება და ასევე, როგორც ქვეყნის შიდაკანონმდებლობის ნაწილი, რომელსაც მაღალი რანგი უკავია ნორმათა იერარქიაში (კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი).

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, პოლიციის ქმედება, არ დაუშვას აქციის მონაწილეების მიერ შეკრების ადგილას კარვის განთავსება, წარმოადგენს მშვიდობიანი შეკრების ფორმის კონტროლის მცდელობას, რაც უხეშად არღვევს როგორც საქართველოს კონსტიტუციითა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებულ შეკრების უფლების არსს, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ უფლებებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია, ხელი არ შეუშალოს შეკრების ჩატარებას იმ ფორმით, რომელიც მშვიდობიანია და არჩეულია აქციის მონაწილეთა მიერ. აქციის ფორმის, დროისა და ადგილის არჩევის უფლება ისევეა შეკრების უფლების ნაწილი, როგორც მისი შინაარსი და კარავი, შესაძლოა, წარმოადგენდეს აქციის გაგრძელებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ატრიბუტს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით, თანაბარი და სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობა საზოგადოების ღიაობის და დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს“. შეკრება-მანიფესტაციის მონაწილეთა მიერ დროებითი კონსტრუქციების განთავსების აკრძალვის შესაძლებლობა კი სასამართლომ მხოლოდ გზის სავალი ნაწილის გადაკეტვის კონტექსტში, სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით განიხილა. „[...] საქართველოს კონსტიტუცია კი ამ უფლების შეზღუდვას დასაშვებად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს თუკი მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დროებითი კონსტრუქციების, მათ შორის კარვის დადგმის აკრძალვას იმ შემთხვევაში თუკი იგი ხელს არ უშლის გზის სავალ ნაწილს“⁴⁴.

20-21 თებერვლის აქციებზე სამართალდამცველთა ქმედებები, ასევე, ეწინააღმდეგება საერთო სასამართლოების მიერ დადგენილ პრაქტიკას. კერძოდ, 2016 წლის 31 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, დადგინდა, რომ წინასწარი თანხმობის გარეშე კარვის დადგმის განთავსება ჯდება მშვიდობიანი შეკრების უფლებაში. სასამართლომ განმარტა, რომ „შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება მოიცავს შეკრების გამართვის ადგილის, დროისა, ფორმისა და შინაარსის არჩევის უფლებას, რაც

⁴³ იხ.: OSCE/ODIHR-Venice Commission, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, Second Edition, Warsaw 2010. <https://bit.ly/2O58Qij>.

⁴⁴ იხ.: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება საქართველოს კონსერვატიული პარტია, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგური და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 2011 წელი.

*შესაძლებლად მიიჩნევს დროებითი კონსტრუქციების განთავსების შესაძლებლობას*⁴⁵.

OSCE/ODIHR-ის სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, კარვისა და სხვა დროებითი კონსტრუქციების აგება მოიაზრება მშვიდობიანი შეკრების უფლებით დაცულ სფეროში⁴⁶. აქტი, რომელიც კრძალავდა „კონტროლირებად ტერიტორიებზე“ კარვებისა და სხვა კონსტრუქციების აგებას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცული მშვიდობიანი შეკრების უფლების საწინააღმდეგოდ იქნა მიჩნეული გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, იმ მიზეზით, რომ კარვის აგებამ, როგორც პროტესტის ფორმამ და საშუალებამ შეიძინა საპროტესტო გზავნილისგან განუყოფელი სიმბოლური მნიშვნელობა⁴⁷.

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, ერთადერთი აუცილებლობა, რომელიც შეიძლება კონვენციით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევის საფუძვლად იქნეს გამოყენებული, შეიძლება, გამომდინარეობდეს „დემოკრატიული საზოგადოების“ მოთხოვნებიდან. ამასთან, დასახელებული მოთხოვნა მოიცავს ორ პირობას: 1. უნდა არსებობდეს უფლებაში ჩარევის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება; 2. უფლებაში ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის პროპორციული⁴⁸. ამასთან, ევროსასამართლოს განმარტებით, შეკრების თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საყრდენია, რომელთან მიმართებითაც არსებობს მთელი რიგი გამონაკლისები, რომლებიც უნდა განიმარტოს ვიწროდ და დამატებლად დადგინდეს ნებისმიერი შეზღუდვის აუცილებლობა. იმ გარემოების შეფასებისას, შეიძლება თუ არა უფლებაში ჩარევა მიჩნეულ იქნას „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სახელმწიფოები სარგებლობენ გარკვეული, მაგრამ არა შეუზღუდავი მიხედულების ფარგლებით⁴⁹.

ამდენად, 2021 წლის 20-21 თებერვალს საქართველოს პარლამენტის წინ მიმდებარე ტერიტორიაზე მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელების ფარგლებში კარვების, ტრანსპარანტების, პლაკატების და შეკრებისათვის მნიშვნელოვანი სხვა დროებითი კონსტრუქციების განთავსების უფლების შეზღუდვა და სამართალდამცველთა ქმედებები არამხოლოდ უკანონო, არამედ, არაკონსტიტუციურია.

⁴⁵ იხ.: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №3/6463–16.

⁴⁶ იხ.: Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, second edition, §18, Warsaw/Strasbourg 2010. <https://bit.ly/3bpJ1C4>.

⁴⁷ იხ.: *Tabernacle v Secretary of State for Defence* [2009] EWCA Civ 23 (05 February 2009). <https://bit.ly/3bjcv4q>.

⁴⁸ იხ.: *United Communist Party of Turkey and Others v. Turkey* (3. 45).

⁴⁹ იხ.: *Kudrevičius and Others v. Lithuania* - 37553/05 Judgment, 26.11.2013 [Section II], § 142, ECHR.

დასკვნა

საქართველოში უახლოესი წარსულის მაგალითები კიდევ უფრო ამძაფრებს სახელმწიფოს მიერ ბალანსის დაცვის პრობლემას შეკრების თავისუფლებასა და საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას შორის, რაც ზრდის პოლიციის პასუხისმგებლობას, სახელმწიფოს სახელით შეასრულოს ეს ამოცანა. სამწუხაროა, რომ აქციის მონაწილეებს კვლავ ერთმევათ დროებითი კონსტრუქციების (მათ შორის - კარვების) განთავსების შესაძლებლობა, რაც შეკრების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას წარმოადგენს.

დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ შეკრების თავისუფლებით სარგებლობის შეზღუდვა. აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ აქციის მიმდინარეობისას კარვების და სხვა არამუდმივი კონსტრუქციების აღმართვის შესაძლებლობა ხაზგასმულია როგორც ეროვნული სასამართლოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, ისე ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპებშიც მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებით.

ასევე, კვლევისას ცხადი გახდა, რომ აქციების და მანიფესტაციების გამართვისას კარვის, გასაშლელი საწოლის, ბანერების და სხვა დროებითი კონსტრუქციების გამოყენების ამკრძალავი ნორმა საქართველოს კანონმდებლობაში არ მოიპოვება. ამასთან, ვინაიდან ზემოხსენებულ შემთხვევებში შენობის შესასვლელებისა და საავტომობილო გზის ბლოკირების ან დაწესებულების საქმიანობის შეფერხების პრობლემა არ გამოკვეთილა, შესაბამისად, პროტესტის მონაწილეები მოქმედებდნენ კანონის ფარგლებში და მათი მოქმედებები სრულად იყო დაცული შეკრების თავისუფლებით.

13

რეკომენდაციები:

- ✓ შინაგან საქმეთა სამინისტრომ პატივი უნდა სცეს მშვიდობიანი შეკრების კონსტიტუციურ უფლებას, რომელიც მოქალაქეებს კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული, რაც, თავის მხრივ, შეიძლება, გავლენას ახდენდეს მიმდინარე დემოკრატიულ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესებზე, იწვევდეს მთავრობის ან მისი წევრის გადადგომას, პოლიტიკური წყობილების ან მმართველობის ფორმის შეცვლასაც კი;
- ✓ შესაბამისმა უწყებებმა შეისწავლონ მშვიდობიანი შეკრების უფლების შეზღუდვის ფაქტები და მოახდინონ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება;
- ✓ აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლება შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების უზრუნველსაყოფად პოზიტიური ვალდებულების სათანადოდ შესრულების მიზნით.
- ✓ შსს-მ უნდა შეცვალოს მშვიდობიანი შეკრებების დროს კარვების/სხვა კონსტრუქციების გაშლის შეზღუდვის უკანონო და თვითნებური პრაქტიკა.